

## ილია ჭავჭავაძის შეხედულება წოდებათა დამოკიდებულებაზე

(პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ზაკავკაზიეში“, 1907 წელი)

თავადი ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე ყოველთვის შეურიგებელი მტერი იყო ვიწრო ეგოისტური წოდებრიობისა. ასეთ წოდებრიობას იგი თვლიდა ერთი და იმავე ხალხის ნაწილებს შორისანტაგონიზმს, მტრობისა და ბრძოლის წყაროდ, ხოლო ეს ბრძოლა მიაჩნდა დიდ უბედურებად. განსაკუთრებით ისეთი პატარა დამოკიდებული ეროვნებისათვის, როგორცაა ქართველობა.

ამიტომ იგი სარგებლობდა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით, რათა ხელი შეეწყო ქართველ თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის დაზავებისა, მათი გაერთიანებისა და სოლიდარობისათვის. ჩვენი ძვირფასი განსვენებულის ამ მისწრაფებამ ყველაზე მკვეთრად თავი იჩინა თბილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის წესდების შედგენისას, როცა საჭირო იყო გადაწყვეტა საკითხისა, თუ რისთვის ყოფილიყო გამოყენებული ბანკის ყოველწლიური წმინდა მოგება. თავად-აზნაურთა დიდი უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ იგი უნდა წასულიყო მხოლოდ იმ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ, რომლებმაც ბანკი დააარსეს. მაგრამ განსვენებულმა გაილაშქრა ამ ეგოისტური აზრის წინააღმდეგ და მტკიცედ მოითხოვა, რომ ბანკის წმინდა მოგება ყოველწლიურად წასულიყო მიწათმფლობელთა სასარგებლოდაც და მიწათმოქმედთა სასარგებლოდაც, და ამ აზრით იქნა რედაქტირებული ბანკის წესდების სათანადო მუხლი...

როცა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარსდა, ილია ჭავჭავაძემ სათავად-აზნაურო ბანკის საერთო კრება დაარწმუნა ამ საზოგადოების სასარგებლოს თერთმეტი ათასი მანეთის ასიგნებაში; იგი ამბობდა, რომ საქართველოს ყველა წოდებას, ყველა კლასს შეეძლება მის გარშემო გაერთიანება და მეგობრულად სწრაფვა საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

როცა დგებოდა წესდება სათავად-აზნაურო სკოლისა, რომელიც შენახული უნდა ყოფილიყო თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის მოგების ხარჯზე, ბანკის წესდების თანახმად გადაწყდა სტიპენდიატებად მიეღოთ როგორც მიწათმფლობელთა, ისე მიწათმოქმედთა ბავშვები. მაგრამ შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტში წარმოიშვა ვიწროწოდებრივი ხასიათის მოძრაობა, რომელიც გამოიხატა მისწრაფებით-სტიპენდიები მიეცათ მხოლოდდამხოლოდ მიწათმფლობელთა შვილებისთვის. ი.გ. ჭავჭავაძე მკვეთრად ილაშქრებდა ამ მისწრაფების წინააღმდეგ; მაგრამ რადგან იგი კომიტეტის წევრი არ იყო, მას შესაძლებლობა არ ჰქონდა წინააღმდეგობა გაეწია სკოლის წესდების ვიწრო წოდებრივი თვალსაზრისით შეცვლისათვის, როგორადაც იგი მიიღო კომიტეტმა.

საერთოდ თავადი ილია ჭავჭავაძე ხშირად კრიჭაში ედგა ქართველი თავად-აზნაურობის უმრავლესობას და, მიეხედავად ამისა, მისი მაღალნიჭიერი პიროვნების მიმზიდველობის წყალობით, მას თავად-აზნაურობაც ყოველთვის თითქმის ერთხმად ირჩევდა სხვადასხვა საზოგადოებრივ თანამდებობაზე.

*ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:*

პაოლო იაშვილის სახელობის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ლედი კიპაროიძემ**.